საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ შორის 2011 წლის 15 სექტემბრს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის წინაპირობების და მყიდველისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის სამართლებრივი შეფასება

20 ივნისი, 2020

I თავში მითითებულია სამართლებრივი შეფასების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

II თავში მოიცავს არსებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვას;

III თავში მსჯელობა მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა;

IV თავში შეფასებულია შეეხება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მყიდველისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას;

V თავში მიმოხილულია ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები და შესაძლებლობა;

VI - დასკვნა;

თავი I
სამართლებრივი შეფასების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია

- 2011 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდომში „გამყიდველი“), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდგომში „სამინისტრო“) და შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ (შემდგომში „მყიდველი“) შორის;
- 2015 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს მიერ სააგენტოში გაგზავნილი № 01/99801 წერილი;
- 2017 წლის 6 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულების შესრულების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასკვნის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“) სხდომის ოქმი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი“);
- 2017 წლის 20 იანვარს სამინისტროდან სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში (შემდგოგმში „სააგენტო“) გაგზავნილი წერილი № 01/3225 (ავტორი: ზაზა სოფრომაძე);
- 2019 წლის 16 აგვისტოს სამინისტროს მიერ სააგენტოსთვის გაგზავნილი წერილი № 01/14751 (ავტორი: გიორგი წოწკოლაური);
- 2019 წლის 17 ივლისს სააგენტოს მიერ შპს „ჯეო ჰოსპიტალის“-თვის გაგზავნილი წერილი N 4/42891;
- 2019 წლის 22 ივლისს სამინისტროში შემოსული შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წერილი N 103840;
- 2019 წლის 06 დეკემბრის სააგენტოს მიერ მყიდველისა და სამინისტროსათვის გაგზავნილი წერილი N 4/71623 (ავტორი: გიორგი წოწკოლაური);
- 2019 წლის 23 დეკემბერს სამინისტროში შემოსული შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წერილის N 177159;
- 2020 წლის 21 იანვარს სამინისტროში შემოსული შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წერილის N 6827;
- 2020 წლის 25 თებერვლის სააგენტოს მიერ სამინისტროსათვის გაგზავნილი წერილი N 4/12403;
- 2020 წლის 26 მარტს სამინისტროში შემოსული შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ წერილი N 33282;

თავი II
არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

2011 წლის 15 სექტემბრს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „ჯეო ჰოსპიტალს“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდა სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტებრის N1-1/1537 ბრძანებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს „ჯეო ჰოსპიტალსისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტი 2011 წლის 14 სექტემბრის N14/09/07 საფუძველზე.

2015 წლის 25 დეკემბერის სამინისტროს მიერ სააგენტოსთან გაგზავნილ № 01/99801 წერილში აღნიშნულია, რომ იმისათვის, რომ ვალდებულებით განსაზღვრული სერვისების მიწოდება ჩაითვალოს შესრულებულად, სერვისის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ბაზისური სერვისების წარმოების ვადის ფარგლებში, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- უნდა გააჩნდეს განსაზღვრული სერვისის წარმოების უფლება, რისთვისაც, საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, უნდა ჰქონდეს: ან სტაციონარული დაწესებულების ნებართვა და თუ საჭიროა, შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი სანებართვო დანართი;
- ან საქმიანობის ლიცენზია;
- ან შეტყობინება მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული საქმიანობის წარმოების თაობაზე.

სამუშაო ჯგუფმა ვალებულების დაწყებიდან - 2016 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში შეაფასა მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შესრულება. 2017 წლის 6 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულების შესრულების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დასკვნის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმის თანახმად, *ბაზისური სერვისების ტუბერკულოზის მართვასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ:*
შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ კუთვნილებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები მცხეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტებებში 01.10.2011-დან - 24.04.2015-მდე (შპს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრისთვის“ გადაცემამდე) არ მონაწილეობდნენ ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. რაც შეეხება გურჯაანიის მუნიციპალტეტში განთავსებულ სამედიცნო დაწესებულებას, ის მხოლოდ 01.10.2011-დან - 01.07.2012-მდე ახორციელებდა ტუბერკულოზის მართვისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას, დანარჩენ დროს (01.07.2012-15.09.2016) არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5. მუხლით, როგორც ამავე პერიოდში, როდესაც არ ახორციელებდა პროგრამულ მომსახურებას, ვალდებულების შესრულებაზე უარი შემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი ანტირაბიული ვაქცინა და სპეფიციკური შრატებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ:

შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ თიანეთის მუნიციპალიეტეტში მდებარე სამეიდიცინო დაწესებულებები 01.12.2011-დან - 27.02.2013-მდე პერიოდში არ მონაწილეობდა ანტირაბიული დახმარების

სახელმწიფო პროგრამის (01.10.2011-01.09.2012) და იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ანტირაბიული მომსახურების კომპონენტის (01.09.2012-27.02.2013) განხორციელებაში, ხოლო წალკის მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულბები არ მონაწილეობდა 01.01.2013-01.02.2013 პერიოდში (მონაწილეობდა 01.10.2011-დან - 31.12.2012-მდე). პირგასამტეხლოს განსაზღრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5 მუხლით, როგორც ვალდებულებების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბიზისური სერვისი ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ:

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არ ასრულებდა ინფექციური დაავადებების მკურნალობის ვალდებულებას გარდაბანში 01.12.2011-დან 08.02.2012-მდე. მცხეთაში, ჭიათურაში, წალკაში, თეთრწყაროში, საგარეჯოსა და დუშეთში - 01.12.2011-დან 01.09.2012 წლამდე, თიანეთსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში კი 01.12.2011-დან 01.01.2014 წლამდე (2014 წლის 1 იანვრიდან მონაწილობდნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური ამბულატორიის კომპონენტში). პირგასატეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5. მუხლით, როგორც ვადებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში.

ბაზისური სერვისი სამეიდიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანპორტირების სახელმწიფო პროგრამის სამედიცინო ტრანსპორტირების კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ:

მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს „ჯეო ჰოსტიტალსის“ ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წაკლას, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებებულები და მათ მიერ გაწული მომსახურება. შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არ სრულდებოდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მცხეთაში, დუშეთში, საგარეჯოში, ბაღდათში, სამტრედიაში, მარნეული, გარდაბანი, ჭიათურა და ზესტაფონში (01.12.2011-დან 15.09.2016-მდე; გურჯაანში - 15.04.2012-15.09.2016; თიანეთში, ყაზბეგში, წალკაში, თეთრწყაროში - 01.12.2011-15.04.2015; ბორჯომში 15.04.2012-15.04.2015. პირასამტეხლოს განსაზღვრა მოხდეს ხელშეკრულების 5.5.5. მუხლით, როგორც ვალდებულების შესრულებაზე უარი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში;

2017 წლის 20 იანვარს სამინისტრომ სააგენტოს გაუგზავნა წერილი № 01/3225 და წარუდგინა 2017 წლის 06 იანვრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის ვალდებულების შესრულების თაობაზე.

სამინისტროს მიერ სააგენტოსათვის 2019 წლის 16 აგვისტოს გაგზავნილი წერილში აღნიშნულია, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალმა“ სრულყოფილად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შემდეგ კომპონენტებში:

1. ტუბერკულოზის მართვა

საქმიანობის ნებართვა: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ფლობს სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ფთიზიატრიულ მომსახურებაში“. მას, ასევე, არ გაუკეთებია შეტყობინება ფთიზიატრიაში ამბულატორიული საქმიანობის დაწყების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულია, როგორც ამბულატორიულად ფთიზიატრიული სერვისის მიმწოდებელი, რადგან ფთიზიატრია,

როგორც მაღალი რისკის შემცველი საქმიანობა ამბულატორიულად, საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. რაც შეეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას, შეტყობინება ფთიზიატრიაში საქმიანობის დაწყების შესახებ გაკეთდა 20.09.2011 და გაუქმდა 27.07.2012.

სახელმწიფო პროგრამები: შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფი მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულება 01.10.2011-დან 03.12.2018 არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ გურჯაანში არსებულ დაწესებულებაში მხოლოდ 01.10.2011-დან 01.07.2012-მდე ახდენდა ტუბერკულოზის მართვისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას, დანარჩენ დროს (01.07.2012 – 31.03.2018) არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში.

2. ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქმიანობის უფლება:

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ინფექციური დაავადებების მკურნალობა“ - შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ფლობს ყველა მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, მას გააჩნია აღნიშნული საქმიანობის წარმოების უფლება როგორც სტაციონარულად, ისე ამბულატორიულად ერთი და იგივე მისამართზე. როგორც მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობა, ამბულატორიულად განხორციელებული ინფექციური საქმიანობა საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ შეტყობინება (სხვა მისამართზე) ინფექციურ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებით დამატებით, გაკეთებული აქვს ზესტაფონის (12.11.2012), საგარეჯოს (29.09.2011) და მარნეულის (01.10.2015 -15.07.2017) მუნიციპალიტეტებში.

სახელმწიფო პროგრამები: შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ, 2017 წლის 1 მარტიდან - 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ბაღდათის, დუშეთის, სამტრედიის, ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამისა (2017 წლის 1 მარტი - 2017 წლის 31 დეკემბერი) და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის (2018 წლის 1 იანვარი-2018 წლის 3 დეკემბერი) მიმწოდებლად, ამასთან,საყოველთაო ჯანდაცვის გეგმური ამბულატორიის კომპონენტი 2017 წლის 1 მარტიდან აღარ ითვალისწინებს ექიმ-ინფექციონისტთან ვიზიტს და შესაბამისად, გეგმურ ამბულატორიაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ბაზისური სერვისის შესრულებად. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ზესტაფონის, მარნეულის, მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები არ მონაწილეობდნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ გარდაბნის დაწესებულება 2017 წლის 1 მარტიდან - 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად;

3. სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება საქმიანობის უფლება:

საქმიანობის უფლება: სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში მიმართვის საფუძველზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია შპს ,,ჯეოჰოსპიტალსმა“ გააუქმა 2014 წლის 21 მაისს. 2014 წლის 20 მაისიდან შპს

„ჯეოჰოსპიტალსს“ ჰქონდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია მხოლოდ ერთ მისამართზე: ფოთი, ნავსადგურის სარეჟიმო ტერმინალი, რომელიც გააუქმა 31.08.2015.

სახელმწიფო პროგრამები: ,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბანის, მარნეულის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ბორჯომის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები და მათ მიერ გაწეული მომსახურება 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

2019 წლის 16 აგვისტოს სამინისტრომ წერილით N 01/14751 მიმართა სააგენტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დადასტურებასთან დაკავშირებით. წერილით სამინისტროს მიერ სააგენტოს ეცნობა 2016 წლის 16 სექტემბრიდან - 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულებით ნაკისრი იმ ვალდებულებების შესახებ, რომელთა შესრულება სამინისტროს შეფასებით არ დასტურდებოდა.

2019 წლის 06 დეკემბრის სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს N4/71623 წერილში აღნიშნულია, სამისტროს 2019 წლის 16 აგვისტოს №01/14751 წერილში და 2017 წლის 20 იანვრის №01/3225 წერილზე თანდართულ 06.01.2017 წლის სხდომის ოქმში აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არ იკვეთება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება. ამასთან, ხსენებულ ოქმში ასევე აღინიშნა, ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.13 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრის წესისა და ოდენობის თაობაზე. ამავე წერილში მითითებულია, რომ მყიდველის მიერ დარღვეულია ბაზისური სამედიცინო სერვისების შენარჩუნების ვალდებულება ვალდებულების შესრულების ვადის დასაწყისიდან (01.12.2011 წელი) ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრულ დროის მთელ პერიოდზე, ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.13 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დასაწყებად სააგენტო განგისაზღვრავთ დამატებით 6 (ექვსი) თვიან ვადას.

2019 წლის 17 ივლისის N4/42891 წერილით სააგენტომ მყიდველს აცნობა, რომ სამინისტროს სააგენტოსათვის არ ქონდა წარდგენილი ხელშეკრულების 4.4. მუხლით გათვალისწიბეული დასკვნა და სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა 3.1.7. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

2019 წლის 22 ივლისს მყიდველმა მიმართა სამინიტროს (სამინისტროში შემოსული განცხადების N 103840) და მოითხოვა, მისი მხრიდან ვალდებულების შესრულების შესახებ შესაბამისი დასკვნის გაცემა.

2019 წლის 23 დეკემბერს შპს ჯეო ჰოსპიტალსმა წერილით მიმართა სააგენტოს (ასლი გაეგზავნა სამინისტროს, შემოსული წერილი N 177159), აღნიშნა, რომ იგი არ ეთანხმებოდა ვალდებულების შეუსრულებლობას და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. 2020 წლის 21 იანვარს მყიდველმა წერილობით მიმართა სამინისტროს (შემოსული განცხადების ნომერი 6827) და წარუდგინა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამდასტურებელი დოკუმენტაცია. ამასთან, 2020 წლის 26 მარტს მყიდველმა წერილობით მიმართა სამინისტროს (შემოსული განცხადების ნომერი 33282) და წარუდგინა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამინისტროს მხრიდან მყიდველის მიერ წარმოდგენილ წერილებზე სამინისტროს პასუხი არ გაუცია.

თავი III

მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა

მყიდველს ქონება გადაეცა შესაბამისი ვალდებულების შესრულების პირობით, შესაბამისად, იმისათვის, რომ შემდგომ კითხვებს გაეცეს პასუხი, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს არის თუ არა სახეზე მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევა.

ა) მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივი დარღვევა;

სამართლებრივი ნორმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში „სსკ“) 361-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანხმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სსკ-ის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

სსკ-ის მე-8 მუხლის 3-ე პუნტის თანამად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

სსკ-ის 415-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში „სსსკ“) 4-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავე მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად, სქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ხელშერულების რელევანტური მუხლები

ხელშეკრულების 2.1. პუნქტის თანახმად, "მყიდველს ხელშეკრულების დანართ 1-ის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქონება საკუთრებაში გადაეცა - 1 211 000 ლარად..."

ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, „მყიდველს ხელშეკრულების დანართ N1-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა სიმბოლურ ფასად 1 ლარად..."

ხელშეკრულების 2.3. პუნქტის თანახმად, მყიდველს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ქონება გადაეცა, გარდამავალი პერიოდის დასრულებამდე ამ ხელშეკრულების 3.1.2., 3.1.3., 3.1.4., 3.1.5., 3.1.6. და 3.1.8., 3.1.9. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით.

ხელშეკრულების 3.1.2. პუნქტის თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნებდა იმ არსებული სამედიცინო სერვისების უწყვეტობას, რომლებიც ხორციელდებოდა დანართ N4-ით გათვალისწინებულ დაწესებულებებში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, ხელშეკრულების და ამავე დანართის შესაბამისად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპს დაცვით და შესაბამისი საკადრო რესურსის არსებობის პირობებში.

ხელშეკრულების 3.1.3. პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე, ხელშეკრულების დანართ N2-ით გათვალისწინებული პერსონალის დასაქმება, მათი ინდივიდიუალური განცხადების საფუძველზე, დასაქმების მომენტისათვის მათი პოზიციების ანაზღაურების არსებული პირობების შენარჩუნებით და წლიური საშუალო ხელფასის გათვალისწინებით, სულ მცირე ერთი თვის ვადით. აღნიშნული ვალდებულების უზრუნველსაყოფად მყიდველი ვალდებულია დასაქმების თაობაზე შესაბამისი განცხადების საჯაროდ გამოცხადებაზე დანართ 4-ით გათვალისწინებულ დაწესებულებაში. ამასთან, დანართ N2-ით გათვალისწინებული პერსონალის მიერ მყიდველის წარდგენილი წერილობითი უარი დასაქმების თაობაზე ან/და საჯარო განცახდების გამოცხადებასთან გარდამავალი პერიოდის დასაწყისამდე მითითებული პერსონალის შესაბამისი წერილობითი პოზიციის დაუფიქსირებლობა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს კომისიას.

ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტის თანახმად, არაუგვიანეს 2011 წლის 1 ნოემბრისა, უზრუნველყოს ხელშეკრულების 3.1.3. პუნქტით გათვალისწინებული დასაქმებული პერსონალის შერჩევა, შემდგომში მყიდველის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების მიზნით.

ხელშეკრულების 3.1.5. მუხლით მყიდველმა იკისრა ვალდებულება, რომ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფდა ჭიათურაში, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში სასწრაფო სამედიცინო სერვისების შენარჩუნებას. ამასთან, ავტოპარკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება, მუდმივი სატელეფონო კავშირი, ერთიანი სადისპეჩერო სისტემაში ჩართულობა და სასწრაფო სამედიცინო სერვისების მიწოდება სახელმწიფო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში.

ხელშეკრულების 3.1.6. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად დანართ 3-ით გათვალისწინებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან, გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე.

ხელშეკრულების 3.1.8. პუნქტის თანახმად, მყიდველს კომისიისთვის უნდა წარმოედგინა 3.1.7. მუხლის მიზნებისათვის, გათვალისწინებული პერიოდით გარდამავალი პერიოდის დასრულებისთანავე, არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული სარგებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

ხელშეკრულების 3.1.9. პუნქტის თანახმად, უნდა განეხორციელებინა არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის არსებული ლიცენზიები/ნებართვების მოპოვებისათვის საჭირო ქმედებები.

ხელშეკრულების 2.4. პუნქტის თანახმად, დანართ N1-ით განსაზღვრული ქონება გადაეცა 3.1.7 და

3.1.10 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

ხელშეკრულების 3.1.7. მუხლის თანახმად, მყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოფდა დანართ N5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობას ჭიათურაში, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლის განმავლობაში და დანართ N5-ში განსაზღვრული სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ვანის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში უზრუნველყოფდა მხოლოდ დანართ N5-ის პირველი პუნქტის შესაბამისად.

ხელშეკრულების 3.1.10. პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო დანართ N1-ის პირველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვის ვადაში განეხორციელებინა ინვესტიცია.

ხელშეკრულების 3.1.9. მუხლის თანახმად, მყიდველი ვალდებულია განახორციელოს არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის აუცილებელი ლიცენზიების/ნებართვების მოპოვებისათვის საჭირო ქმედებები.

ხელშეკრულების 3.4.1 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებული იყო, გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე, ხელი შეეწყო მყიდველის მიერ არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის საჭირო ლიცენზიების/ნებართვების მოპოვებაში.

ხელშეკრულების 3.4.2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო ვალდებული იყო, არაუგვიანეს გარდამავალი პერიოდის დაწყების დღისა, უზრუნველეყო არსებული სამედიცინო სერვისებზე შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებში მყიდველის მონაწილეობა, ამავე პერიოდში სერვისების უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

ა.ა. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევა;

ა.ა.ა.) მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

ვალდებულების ჯეროვნად შესრულება ნიშნავს ვალდებულების შესრულებას კანონითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იმ გონიერი მოლოდინის ფარგლებში, რაც შესრულების მიმღებს აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიმართ ჰქონდა.[1] ვალდებულების შესრულების ჯეროვანება ვალდებულების შესრულების მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კანონისმიერი ან ხელშეკრულებისმიერი მოთხოვნის დაცვას არ გულისხმობს, მაგალითად, ვალდებულების უნაკლო (ნივთობრივი, უფლებრივი), ხარისხიან, შეთანხმებული ოდენობით, დათქმულ დროს ან დათქმულ ადგილას შესრულებას. შესრულების ჯეროვანება ყველა ზემოთ დასახელებული ობიექტური ფაქტორის ერთობლიობაა და ვალდებულების ყოველგვარი დარღვევის გარეშე შესრულებას ნიშნავს.[2]

იმისთვის, რომ დადგინდეს მყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს მისი მხრიდან ხელშეკრულებების თითოეული პირობის შესრულება.

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, გვ.5
2 იგივე.

ხელშეკრულების დანართ N1-ის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ქონება მყიდველს გადაეცა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ხელშეკრულების შემდგი პირობების შესრულების პირობით:

1. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულების და ამავე დანართის შესაბამისად, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინიციპის დაცვით და შესაბამისი საკადრო რესურსის არსებობის პირობებში, მყიდველმა შეინარჩუნა თუ არა იმ არსებული სამედიცინო სერვისების უწყვეტობა, რომლებიც ხორციელდებოდა დანართ N4-ით გათვალისწინებულ დაწესებულებებში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
2. გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე, უზრუნველყო თუ არა მყიდველმა ხელშეკრულების დანართ N2-ით გათვალისწინებული პერსონალის დასაქმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
3. 2011 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყო თუ არა ხელშეკრულების 3.1.3. პუნქით გათვალისწინებული დასაქმებული პერსონალის შერჩევა, შემდგომში მყიდველის საკუთრებაში და/ან სარგებლობაში არსებულ სამედიცინო დაწესებაში დასაქმების მიზნით - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
4. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყო თუ არა ჭიათურაში, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნციპალიტეტებში სასწრაფო სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და უზრუნველყო თუ არა ავტოპარკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნება, მუდმივი სატელეფონო კავშირი, ერთიანი სადისპეჩერო სისტემაში ჩართულობა და სასწრაფო სამედიცინო სერვისების მიწოდება სახელმწიფო პროგრამის და პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ფარგლებში - აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო სადავოდ ხდის;
5. მყიდველმა გაატარა თუ არა შესაბამისი ღონისძიებები იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
6. მყიდველმა კომისიას წარმოუდგინა თუ არა 3.1.7. მუხლის მიზნებისათვის, გათვალისწინებული პერიოდით გარდამავალი პერიოდის დასრულებისთანავე, არსებულ სამედიცინო დაწესებულებებთან გაფორმებული სარგებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
7. განახორციელა თუ არა 3.1.9. პუნქტის შესაბამისად, არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის ლიცენიზები/ნებართვების მოპოვებისათვის საჭირო ქმედებები - აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო სადავოდ ხდის;

ვინაიდაინ, ხელშეკრულების დანართ N1-ით განსაზღვრული ქონება გადაეცა შემდეგი პირობებით, უნდა დადგინდეს, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მყიდველმა შეასრულა თუ არა შემდგი პირობები:

1. დანართ N1-ის პირველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვის ვადაში, ხელშეკრულების 3.1.10. პუნქტით შესაბამისად მყიდველმა განახორციელა თუ არა ინვესიტიცია - წარმოდგენილი მასალების თანახმად, იკვეთება, რომ აღნიშნული კომპონენტის შესრულებას სამინისტრო არ თვლის სადავოდ და შესაბამისად, მისი განხილვა არ არის რელევანტური;
2. 7 წლის განმავლობაში და დანართ N5-ში განსაზღვრული სპეციფიკური პირობების

გათვალისწინებით და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით, უზრუნველყო თუ არა მყიდველმა დანართ N5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა ჭიათურაში, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში; ამასთან, აღნიშნული პირობები, მხოლოდ დანართ N5-ის პირველი პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყო თუ არა ვანის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში;

2019 წლის 16 აგვისტოს სამინისტროს № 01/14751 წერილიდან და სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ ვალდებულებების დასაწყისიდან - 2016 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში და 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით სამინისტრომ შეაფასა შპს ,,ჯეო ჰოსპიტალისის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და დაადგინა, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალმა“ სრულყოფილად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში მყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა დადგენილია სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2016 წლის 16 სექტემბრიდან - 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით შპს ,,ჯეო ჰოსპიტალისის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასებას საფუძვლად არ უდევს სამინისტროს სამუშაო ჯგუფის დასკვნა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტი სადავო გახადა მყიდვლმა და არ დაეთანხმა სამინისტროს დასკვნას. 2019 წლის 23 დეკემბერს სააგენტოსთვის მიმართულ წერილში (ასლი გაეგზვანა სამინისტროს, წერილის ნომერი 177159), 2020 წლის 21 იანვრის (სამინისტროში შემოსული წერილის ნომერი - 6827) და 2020 წლის 26 მარტის (სამინისტროში შემოსული წერილის ნომერი - 33282) სამინისტროსათვის მიმართულ წერილებში წარმოადგინა მისი არგუმენტაცია და არგუმენტაციის შესაბამისი მტკიცებულებები, რომლითაც მისი შეხედულებით, მყიდველი ადასტურებს სამინისტოს მიერ შეუსრულებლად მიჩნეული ვალდებულებების შესრულებას (მყიდველის განცხადებებს ერთვოდა დანართები შპს ემერჯესის სერვისის ხელშეკრულების ასლი; შპს ჯეო ჯოსპიტალსის საგარეჯოს სამედიცინო დაწესებულების სტაციონარის ნებართვა და სანებართვო დანართი - ინფექტიური დაავადებების მკურნალობა“; BDO-ს დასკვნა და CD დისკზე წარმოდგენილი მტკიცებულბები და სხვა.);

შეჯამება

ვინაიდან, სასამართლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შეაფასებს ორივე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებზე დაყრდნობით[3] და მხართა პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის/შესრულების დადგენისას, მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული, მყიდველის მიერ სამინისტროს საპასუხოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წელის 04 დეკემბერის გადაწყვეტილებაში საქმე №ას-559-2019 აღნიშნულია: „სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი - კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი)“.

ა.ა.ბ.) სამინისტროს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

ხელშეკრულების თანახმად, სამინისტრომ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, რომ გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე სერვისების უწყვეტობის შესანარჩუნებლად, უზრუნველყოფდა არსებული სამედიცინო სერვისებზე შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებში მყიდველის მონაწილეობას და სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე, მყიდველს ხელს შეუწყობდა არსებული სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის საჭირო ლიცენზიების/ნებართვების მოპოვებაში.[4]

სამინისტროს მიერ სააგენტოსათვის 2019 წლის 16 აგვისტოს გაგზავნილი წერილში აღნიშნულია, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ სრულყოფილად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფო პროგრამების შესრულების შემდეგ კომპონენტებში:

- **სახელმწიფო პროგრამების შესრულება ტებუბერკულოზის მართვის ნაწილში** (შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფი მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულება 01.10.2011-დან 3.12.2018 არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ გურჯაანში არსებულ დაწესებულებაში მხოლოდ 01.10.2011-დან 01.07.2012-მდე ახდენდა ტუბერკულოზის მართვისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას, დანარჩენ დროს (01.07.2012 – 31.03.2018) არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში);
- **სახელმწიფო პროგრამების შესრულება ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქმიანობასთან დაკავშირებით** (შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ, 2017 წლის 1 მარტიდან - 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ბაღდათის, დუშეთის, სამტრედიის, ჭიათურის მუნიციპალიტეტებში არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამისა (2017 წლის 1 მარტი - 2017 წლის 31 დეკემბერი) და საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის (2018 წლის 1 იანვარი-2018 წლის 3 დეკემბერი) მიმწოდებლად, ამასთან,საყოველთაო ჯანდაცვის გეგმური ამბულატორიის კომპონენტი 2017 წლის 1 მარტიდან აღარ ითვალისწინებს ექიმ-ინფექციონისტთან ვიზიტს და შესაბამისად, გეგმურ ამბულატორიაში მონაწილეობა ვერ ჩაითვლება ბაზისური სერვისის შესრულებად. 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით, ზესტაფონის, მარნეულის, მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები არ მონაწილეობდნენ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ინფექციური დაავადებების მართვის კომპონენტის შესრულებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ გარდაბნის დაწესებულება 2017 წლის 1 მარტიდან - 2017 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით, არ ფიქსირდება ინფექციური დაავადებების მართვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებლად;
- **სახელმწიფო პროგრამების შესრულება სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება საქმიანობასთან დაკავშირებით** (,,სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ,,სამედიცინო ტრანსპორტირების“ კომპონენტის ფარგლებში, მიმწოდებელთა ჩამონათვალში არ ფიქსირდება შპს ,,ჯეო ჰოსპიტალსის“ ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბანის, მარნეულის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ბორჯომის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში არსებული სამედიცინო დაწესებულებები და მათ მიერ გაწეული მომსახურება 2016 წლის 16 სექტემბრიდან 2018 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით).

[4] ხელშეკრულების აღნიშნული მუხლი საჭიროებს განმარტებას, ვინაიდან, სსიპ რეგულირების სააგენტო არის კლინიკების ზედამხედველი ორგანო, რთული წარმოსადგენია, სამინისტროს როგორ უნდა შეეწყო ხელი მყიდველისათვის ლიცენზიის/ნებართვების მოპოვებაში. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამგვარი ჩანაწერი ხელშეკრულებაში უკვე არსებობს და შესაძლოა მხარემ სასამართლოში აღნიშნულ მუხლზე მიუთითოს, საჭიროდ ჩავთვალეთ ყურადღების გამახვილება.

გარდა ამისა, სამინისტროს ზემოაღნიშნულ წერილში, მითითებულია, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ სრულყოფილად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და არ ფლობდა საქმიანობის შესაბამისი ნებართვას შემდეგი მიმართულებით:

- **ტუბერკულოზის მართვა** (სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ არც ერთ მუნიციპალიტეტში არ ფლობს სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ფთიზიატრიულ მომსახურებაში“. მას, ასევე, არ გაუკეთებია შეტყობინება ფთიზიატრიაში ამბულატორიული საქმიანობის დაწყების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტში შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ კუთვნილებაში მყოფ სამედიცინო დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულია, როგორც ამბულატორიულად ფთიზიატრიული სერვისის მიმწოდებელი, რადგან ფთიზიატრია, როგორც მაღალი რისკის შემცველი საქმიანობა ამბულატორიულად, საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. რაც შეეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებას, შეტყობინება ფთიზიატრიაში საქმიანობის დაწყების შესახებ გაკეთდა 20.09.2011 და გაუქმდა 27.07.2012.);
- **ინფექციური დაავადებების მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (**სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების ნებართვის სანებართვო დანართს „ინფექციური დაავადებების მკურნალობა“ - შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ ფლობს ყველა მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, მას გააჩნია აღნიშნული საქმიანობის წარმოების უფლება როგორც სტაციონარულად, ისე ამბულატორიულად ერთი და იგივე მისამართზე. როგორც მაღალი რისკის სამედიცინო საქმიანობა, ამბულატორიულად განხორციელებული ინფექციური საქმიანობა საჭიროებს შეტყობინებას შესაბამის უწყებაში. შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ შეტყობინება (სხვა მისამართზე) ინფექციურ დაავადებათა მკურნალობასთან დაკავშირებით დამატებით, გაკეთებული აქვს ზესტაფონის (12.11.2012), საგარეჯოს (29.09.2011) და მარნეულის (01.10.2015 -15.07.2017) მუნიციპალიტეტებში.);
- **სამედიცინო ტრანსპორტირება და სასწრაფო სამედიცინო მომსახურება (**სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში მიმართვის საფუძველზე, სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია შპს ,,ჯეოჰოსპიტალსმა“ გააუქმა 2014 წლის 21 მაისს. 2014 წლის 20 მაისიდან შპს „ჯეოჰოსპიტალსს“ ჰქონდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქმიანობის ლიცენზია მხოლოდ ერთ მისამართზე: ფოთი, ნავსადგურის სარეჟიმო ტერმინალი, რომელიც გააუქმა 31.08.2015.)

იმისათვის, რომ მყიდველის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოირიცხოს სამინიტროს ბრალეულობა (ე.წ. „შერეული ბრალი“), უნდა დადგინდეს სამინისტროს მხრიდან შესრულდა თუ არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და სამინისტრომ უზრუნველყო თუ არა არსებული სამედიცინო სერვისებზე შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებში მყიდველის მონაწილეობა, ამისათვის პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- მყიდველს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ხომ არ მიუმართავს სამინისტროსათვის ან/და სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ სსიპ-ისათვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით და თუ ასეთი მიმართვა არსებობს რა პასუხი გაეცა მყიდველს;
- მყიდველს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ხომ არ მიუმართავს სამინისტროსათვის ან/და სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ სსიპ-ისათვის სამედიცინო სერვისების მიწოდებისათვის საჭირო ლიცენზიების/ნებართვების მოპოვებაში ხელშეწყობასთან დაკავშირებით და რა პასუხი გაეცა მყიდველს;

შეჯამება

მნიშვნელოვანია, რომ მყიდველის მიერ შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოირიცხოს სამინისტროს ბრალეულობა (ე.წ. „შერეული ბრალი“).

ა.ა.გ.) მყიდველის ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულება;

კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების ძალით, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება.[5] ამდენად, მხარეებს ეკისრებათ, არამხოლოდ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება, არამედ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ისე მოქცევა, რომ პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს.[6]

კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა.[7] შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულების შეთანხმებული პირობებით, შესრულებლობა ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად და მათი შეუსრულებლობა ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში არაკეთილსინდისიერი ქცევის ტოლფასია. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, აღნიშნული ჩაითვლება, მყიდველის მიერ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების დარღვევად.

შეჯამება

თუ დადასტურდება მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვანი შესრულება, სახეზე იქნება მყიდველის მიერ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულების დარღვევაც.

ა.ა.დ.) სამინისტროს უფლების კეთისლინდისირად[8] გამოყენება;

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მხარეს მეორე მხარის უფლებებისა და ინტერესების მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერების მოპყრობის ვალდებულება გააჩნია. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.[9] კეთილსინდისიერების პრინციპი საკუთარი უფლებებითა და მოვალეობებით ისეთ სარგებლობას გულისხმობს, რა დროსაც დაცული უნდა იყოს სხვათა უფლებებისა და მოვალეობებისადმი გულისხმიერად მოპყრობის პრინციპი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სხვათა ინტერესების გათვალისწინება საკუთარი ინტერესების უგულვებელყოფას არ ნიშნავს და მხარეს არც ის მოეთხოვება, რომ სხვისი ინტერესი საკუთარ ინტერესზე მაღლა დააყენოს.[10] კეთილსინდისიერების პრინიცპი მეორე მხარის რა ინტერესების გათვალისწინებას ითხოვს, დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, მხარეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებზე და აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს.

ქართულ სამოქალაქო სამართალში „კეთილსინდისიერება“ წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედს და „კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე“.[11] კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება ემყარება სამართალში საზოგადოდ მოქმედ კეთილსინდისიერების ვარაუდს. ეს ვარაუდი განსაზღვრავს სამართლებრივი ურთიერთობის საერთო მიმართულებასაც. არა ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაპირისპირება, არამედ

5 სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი პუნქტი.
6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, 8 გვ.
7 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი.
8 კეთილსნიდისიერების პრინციპზე მსჯელობა მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, იმდენად რამდენადაც, სასამართლოს ბოლოდროიდელ გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება მსჯელობს აღნიშნული პრინიცის დარღვევაზე.
9 სსკ-ის მე-8 მუხლის 3-ე პუნტი;
10 ქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, 8 გვ.
11 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე №ას-23-18-2011, 24 მაისი, 2011;

მათი სოლიდარობაა ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველი.[12] კეთილსინდისიერების პრინციპი დარღვეულია მაშინაც, როდესაც კონტრაჰენტი საკუთარ უფლებას მარტოოდენ იმ მიზნით იყენებს, რომ თვითონ ნახოს სარგებელი, იმისდა მიუხედავად, ამ უფლების გამოყენებით მეორე მხარეს რა ზიანი ადგება. მაგალითად, პირი, რომელიც შესრულების დაყოვნების უფლებას იყენებს მაშინ, როდესაც მეორე მხარეს ვალდებულების 90% შესრულებული აქვს. ამ შემთხვევაში, კანონი, მართალია, არჯეროვანი (არასრული) შესრულების შემთხვევაშიც იძლევა შესრულების დაყოვნების უფლებას, თუმცა, როდესაც შესრულების უმეტესი ნაწილი მოვალეს მიღებული აქვს, მოვალის მიერ შესრულების დაყოვნება უფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების ტოლლფასია.[13]

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კეთილსინდისიერი ქცევის დადგენა კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია და მოსამართლის მიერ უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. მოსამართლის მიერ წარმოებული შეფასების ეს პროცესი საკმაოდ კომპლექსურია და დიდ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან კეთილსინდისიერების მოთხოვნას არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ და დაუშვებელია ყოველი გადაწყვეტილების დასაბუთება აბსტრაქტული პრინციპების საფუძველზე. აუცილებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკურობის გათვალისწინება. კეთილსინდისიერების პრინციპი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ზოგადსახელმძღვანელო პრინციპი, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის არაერთ მუხლში. ამიტომაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტური ქცევის პრინციპია ზოგადად კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში.[14]

ამასთან, კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევად ითვლება ასევე უფლების ბოროტად გამოყენება, რა დროსაც კონტრაჰენტი უფლებას მარტოდენ იმ მიზნით იყენებს, რომ ზიანი მიადგეს სხვას.[15] სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.[16]

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა და მისი გაფორმება მიზნად ისახავდა სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის („მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში) და საქართვლელოს კონსტიუციის მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტით (სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობაზე....“) გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, კერძოდ, ჭიათურაში, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებშიბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა, სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას და ტერიტორიულობის პრინიცპის უზრუნველყოფას. ამასთან, აღნიშნული სამედიცინო სერვისების მიწოდების ვალდებულება უნდა განხორციელებლიყო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან 7 წლის განმავლობაში, შესაბამისად, სამინისტრომ მყიდველის მხრიდან ვალდებულების შესრულება დაუკავშირა შესაბამის ვადას და სხვა პირობებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ სამინისტროს სამუშაო ჯგუფის მიერ, ვალებულების დაწყებიდან - 2016 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შესრულებაზე შეფასება პირველად გაკეთდა 2015 წელს და შემდგომ 2017 წლის 6 იანვარს. აღნიშნული შესაძლოა აჩენდეს კითხვას,

12 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი;
13 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017, 9 გვ.
14 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილება საქმეზე №ას-559-2019, 04 დეკემბერი, 2019 წელი
15 სსკ-ის 115-ე მუხლი.
16 სსკ-ის 115-ე მუხლ.

ხელშეკრულების პირობების მნიშვენლობიდან გამომდინარე სამინისტროს ან გამყიდველის რატომ არ მოხდა მყიდველის მიერ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგი,[17] იმ ფონზე, როდესაც აღნიშნული სამედიცინო მომსახურების გაწევას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა, ან სამინისტრო რატომ არ შეეცადა თუ არა მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის პირებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია აღნიშნული ვალდებულების შესრულების თაობაზე;

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი სადავოს გახდის მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და სამინისტროს კეთილსინდისიერი ქცევას დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, სასამართლოს მოუწევს ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევის ხელშერულების სპეციფიკურობის გათვალისწინებით სამინისტროს და გამყიდველის კეთისინდისიერებაზე და მყიდველის მოვალეობებისადმი გულისხმიერად მოპყრობაზე მსჯელობა.

მნიშვნელოვანია, რომ შემდეგ კითხვებს გაეცეს პასუხი:
- რატომ არ მოხდა ვალდებულებების შესრულების მუდმივი მონიტორინგი;[18]
- როდის მოხდა სამინისტროს/გამყიდველის მიერ რეაგირება მყიდველის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით;
- სამინისტროს/გამყიდველის მიერ რატომ არ გაეგზავნა გაფრთხილებები ვალდებულების შეურულებლობასთან დაკავშირებით;

შეჯამება

იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი სადავოს გახდის მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და სამინისტროს კეთილსინდისიერი ქცევას დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, სასამართლოს მოუწევს ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევის ხელშერულების სპეციფიკურობის გათვალისწინებით სამინისტროს და გამყიდველის კეთისინდისიერებაზე და მყიდველის მოვალეობებისადმი გულისხმიერად მოპყრობაზე მსჯელობა, შესაბამისად, საჭიროა ზემოაღნიშნულ კითხვებთან დაკავშირებით შესაბამისი არგუმენტაციის წარდგენა.

17 აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია მოთხოვნათა ხანდაზმულობის ჭრილშიც (მსჯელობა იხ. შესბამის თავში).
18 აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია მოთხოვნათა ხანდაზმულობის ჭრილშიც (მსჯელობა იხ. შესაბამის თავში), ვინაიდან, მყიდველს 7 წლის განმავლობაში მომსახურება უნდა გაეწეია უწყვეტად და შესაძლოა აღნიშნული სასამართლოს მხრიდან დაკვალიფიცრდეს, როგორც პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება.

თავი IV
მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა

სამართლებრივი ნორმები

სსკ-ის 415-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

სსკ-ის 417 მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის;

სსკ-ის 418 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის

სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. ამავე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ხელშეკრულების რელევანტური მუხლები

ხელშეკრულების 5.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეურულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთიეთება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

ხელშეკრულების 5.2. პუნქტის თანახმად, 3.1.1., 3.1.6., 3.1.10, 3.1.11., 3.1.12 და 3.1.13 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს უგზავნის წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთიეთა დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

ხელშეკრულების 5.3. პუნქტის თანახმად, 3.1.2., 3.1.3., 3.1.4, 3.1.5., 3.1.8 და 3.1.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისიის დასკვნის საფუძველზე გამყიდველი უგზავნის მყიდველს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთიება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

ხელშეკრულების 5.5.2. პუნქტის თანახმად, 3.1.2., 3.1.3., 3.1.4, 3.1.5., 3.1.8 და 3.1.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისთვის, კომისიის დასკვნის საფუძველზე, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთიება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულების 5.5.3. პუნქტის თანახმად, 3.1.6., 3.1.11., 3.1.12 და 3.1.13 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთიება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულების 5.4. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დადასტურება გამყიდველის მიერ მოხდება 4.4. პუნქტის შესაბამისად. ხელშეკრულების 4.4. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების 3.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულბებეი შესრულებლად ითვლება სამინისტროს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან. სამინისტრო 3.1.7. პუნქტით გათვალისწინებული ვადლებებულების შესრულების შესახებ დასკვნას გამყიდველს წარუდგენს იმ შემთხვევაშიც, თუ ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოვინდა სერვისების ალტერნატირული მიმწოდებელი, ამავე მიმწოდებლის მიერ აღებული ვალდებულბებეის მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

ხელშეკრულების 5.5.4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევებისთვის მყიდველს პასუხისმგებელობა განისაზღვრება ჯანმრთელობის დაცვის შესაბამისი სახელმიფო პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ხელშეკრულების 5.5.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.7.-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამინისტრო წერილობით აცნობებს გამყიდველს ამ ვალდებულებების შესრულების შესახებ, რის საფუძველზეც, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთიება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულების 5.5.6 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების 3.1.10 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთიება დარღვევის გამოსწორების გონივრული ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ხელშეკრულების 5.6. პუნქტის თანახმად, დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, გარდა 5.8. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მსჯელობა

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებას და დამდგარ შედეგს შორის. შესაბამისად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს პირგასამტეხლო,

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (მსჯელობა იხ. შესაბამის თავში) და ამასთნ, უნდა გამოირიცხოს სამინისტროს მიერ კეთილსინდისიერების პრინციპი და ვალდებულების დარღვევა (მსჯელობა იხ. შესაბამის თავში).

2019 წლის 06 დეკემბერს სააგენტომ N4/71623 წერილით მიმართა გამყიდველს (წერილის ასლი გაეგზავნა სამინისტროს) და აცნობა, რომ სამინისტროს 2019 წლის 16 აგვისტოს №01/14751 წერილსა და 2017 წლის 20 იანვრის №01/3225 წერილზე თანდართულ 06.01.2017 წლის სხდომის ოქმში (იხ. დანართი) აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით არ იკვეთება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულება და ოქმში ასევე აღინიშნა, ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.13 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს განსაზღვრის წესისა და ოდენობის თაობაზე.

სამუშაო ჯგუფის ოქმში მიეთითა კომისიის გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე. ოქმი აკეთებს ზოგად მითითებს პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და აღნიშნულია, რომ პირგასამტეხლოს დაკირების სამართლებრივ საფუძველს. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ, 2019 წლის 06 დეკემბერს სააგენტოს წერილში არ არის მითითებული მყიდველის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს სრული და ზუსტი ოდენობას, პირგასამტეხლოს გადახდის ბოლო ვადა, თარიღი როდიდან - როდემდე დაეკისრა მხარეს პირგასატმეხლო და პირგასამტეხლოს დაკისრების ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლი. შესაბამისად, მყიდველისთვის არც თუ ისე ცალსახა პირგასამტეხლოს ზუსტი ოდენობა და გადახდის ბოლო ვადა. გადახდის ვადის მიუთითებლობა, პრობლემას ქმნის იმდენად, რამდენადაც, ხელშეკრულების 5.7. პუნქტის თანახმად, დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადახდის ვადის დარღვევა წარმოადგენს ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ წინაპირობას.

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. ხოლო მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. აღნიშნული მუხლის თანახმად, უპირველეს ყოვლისა უნდა დაგინდეს, თუ როდიდან წარმოეშვა პრივატიზების განმაორციელებელ ორგანოს მყიდველისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება.

მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების 3.1.7. მუხლით დაწესებული ვადა წარმოადგენს არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას, არამედ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მყიდველის მიერ უწყვეტად უნდა შესრულებულიყო ნაკისრი ვალდებულებები. სხვაგვარად რომ ითქვას, მყიდველს 5-7 წლის შემდეგ კი არ ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების წარმოდგენის ვალდებულება, არამედ, პირველივე წლიდან (2011 წელი) იგი ვალდებული იყო უწყვეტად განეხორციელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაზისური სერვისების მიწოდება. შესაბამისად, სსსკ-ის 129-ე მუხლის და 130-ე მუხლის თანახმად, პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს იმ მომენტიდან წარმოეშვა ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, როგორც კი, მყიდველმა დაარღვია (თუ კი ასეთს ჰქონდა დგილი) ვალდებულება და როდესაც შეიტყო[19] ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სააგენტოს მყიდველის მიმართ 2015 წლიდან წარმოეშვა მოთხოვნის უფლება, ვინაიდან, 2015 წლის 25 დეკემბერის სამინისტროს მიერ სააგენტოსთან გაგზავნილ № 01/99801 წერილში აღნიშნულია, რომ მყიდველი ვერ აკმაყოფილებდა გარკვეულ მოთხოვნებს.

19 მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროს 2015 წელს ჰქონდა ინფორმაცია მყიდველის მიერ ვალდებულების დაღვევასთან დაკავშირებით.

საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ პრივატიზების განმხორციელებელმა ორგანომ პირველად, 2019 წელს წარუდგინა მყიდველს პრეტენზია ხელშეკრულებით ნაკისრი ვადებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, დააკისრა პირგასამტეხლო და განუსაზღვრა დამატებითი დრო ვალდებულების შესრულების დასაწყებად. საქმის გარემოებებიდან არ იკვეთება, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში (2011 წლიდან - 2019 წლამდე) პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მოხდა მყიდველისათვის შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა. შესაბამისად, სააგენტოსათვის ხელშეკრულების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა 2015 წელს, ხოლო მყიდველს პრეტენია წარუდგინა 2019 წელს.

შეჯამება

იმისათვის, რომ მყიდველს დაეკისროს პირგასამტეხლო, პრიველ რიგში, სახეზე უნდა იყოს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნი შესრულება;

ვინაიდან, 2019 წლის 06 დეკემბერის სააგენტოს წერილში არ არის მითითებული მყიდველის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს სრული და ზუსტი ოდენობას, პირგასამტეხლოს გადახდის ბოლო ვადა, თარიღი (როდიდან - როდემდე დაეკისრა მხარეს პირგასატმეხლო) და პირგასამტეხლოს დაკისრების ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლი, კიდევ ერთხელ უნდა მოხდეს სააგენტოს მხრიდან მყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა, შემდეგი რეკვიზიტების მითითებით:

- **ხელშეკრულების დარღვეული მუხლი;**
- **გადასახდელი პირგასამტეხლოს სრული და ზუსტი ოდენობა;**
- **პირგასამტეხლოს გადახდის ბოლო ვადა;**
- **პირგადამტეხელოს დაკისრების პერიოდი;**
- **პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლი.**

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაძლოა სამინისტროს მოთხოვნების ნაწილთან[20] მიმართებაში და პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით იყოს ხანდაზმული, რადგან სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს და ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო[21] ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

20 მოთხოვნები დასათვლელია პერიოდების მიხედვით და კონკრეტული ვალდებულებების დარღვევის ჭრილში.
21 სამინისტრომ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ პირველად სააგენტოს აცნობა 2015 წელს.

თავი VI
ხელშეკრულების მოშლის წინაპირობები და შესაძლებლობა

სამართლებრივი ნორმები

მუხლი 405. დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას

1. თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

2. არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ

ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა.

3. ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ:

ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;

ბ) დარღვეულია 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;

გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი;

დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.

4. კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

5. მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა.

ხელშეკრულების რელევანტური მუხლები

ხელშეკრულების 5.7. პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულბების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ცალხმრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შეთვევაში პრივატიზებული ქონება (გარდა იმ ქონებისა, რომელთან დაკავშირებითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებულია) უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

მსჯელობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და მხრეთა შორის დადებული ხელშეკრულების ანალიზის საფუძველზე, პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და იმ პრივატიზებული ქონების დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რომელთან დაკაშირებითაც ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდა, თუ დადგენდა, რომ:

- მყიდველმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

- მყიდველის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევის გამო დარჩენილი ნაწილის შესრულებამ პრივატიზების განმახორციელებელისთვის დაკარგა ინტერესი;
- პრივატიზების განმახორციელებელმა განუსაზღვრა მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების სრულად შესრულებისთვის დამატებთი ვადა;
- მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევის საფუძვლით, პრივატიზების განმახორციელებელმა ორგანომ განუსაზღვრა მყიდველს პირგასამტეხლოს გადახდის ვადა;
- მყიდველმა დამატებით ვადაშიც არ შეასრულა ხელშეკრულება ან დაწესებულ ვადაში არ გადაიხადა პირგასამტეხლო.

სამართლებრივი ანალიზისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან, რამდენიმე მათგანი დგინდება, რამდენიმე გარემოების დადგენა, კი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. კერძოდ:

- დგინდება, რომ მყიდველის მიერ ხელშეკრულება სრულად არ დარღვეულა;
- ცალსახად ვერ დგინდება ხელშეკრულება დაირღვა თუ არა ნაწილობრივ, ვინაიდან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს სამინისტროს დასკვნა, მყიდველის მიერ წარმოდგენილი შეპასუხებისა და მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე, მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენის შესახებ;
- დგინდება, რომ ხელშეკრულების 3.1.7 და 3.1.13 მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დასაწყებად სააგენტომ განუსაზღვრა მყიდველს დამატებით 6 თვიანი ვადა;
- დგინდება, რომ სააგენტომ დააკისრა მყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ნაწილობრივ დარღვევის საფუძვლით;
- დგინდება, რომ სააგენტომ არ განუსაზღვრა ბოლო ვადა ვალდებულების შესასრულებლად და პირგასამტეხლოს გადახდისათვის;
- ვერ დგინდება, თუ რა დამატებითი ვადა მიეცა მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, ვინაიდან, სააგენტოს მიერ განსაზღვრულია არა ვალდებულების შესრულების ვადა, არამედ, ვალდებულების შესრულების დაწყების ვადა;
- ვერ დგინდება, განსაზღრულ დამატებით ვადაში დაიწყო თუ არა მყიდველმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;

შეჯამება

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, იკვეთება, რომ პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს ამ ეტაპზე აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და იმ პრივატიზებული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, რომელთან მიმართებითაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ შესრულდა, ვინაიდან, სახეზე არ არის ვალდებულების განმეორებითი შეუსრულებლობა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა.

ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ:

- **სამინისტროს მხრიდან მყიდველის მიერ წარმოდგენილი შეპასუხებისა და მტკიცებულებების განხილვის საფუძველზე, დადგინდება მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი;**
- **თუ სააგენტოს მიერ მყიდველისთვის ვალდებულებების შესრულების დასაწყებად განსაზღრულ დამატებით ვადაში მყიდველმა არ დაიწყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება;**
- **მყიდველისათვის ვალდებულების შესასრულებლად დაწესებულ ვადაში არ მოხდება ვალდებულების შესრულება;**

- **თუ მყიდველის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევის შემთხვევაში სააგენტოს მიერ დაწესებულ ვადაში არ მოხდა პირგასამტეხლოს გადახდა;**
- **სამინისტრომ/სააგენტომ დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების შესრულებული ნაწილის მიმართ.**

VI. დასკვნა

იმისათვის, რომ მყიდველს დაეკისროს პირგასამტეხლო, პრიველ რიგში, სახეზე უნდა იყოს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნი შესრულება. შესაბამისად, მხართა პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის/შესრულების დადგენისას, მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული, მყიდველის მიერ სამინისტროს საპასუხოდ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მყიდველის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებებთან დაკავშირებით გამოირიცხოს სამინისტროს ბრალეულობა (ე.წ. „შერეული ბრალი“).

გარდა ზემოაღნიშნულისა, შესაძლოა სამინისტროს მოთხოვნების ნაწილთან მიმართებაში და პირგასამტეხლოს მოთხოვნასთან დაკავშირებით გასული იყო კანონით დადგენილი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადები.

ამ ეტაპზე, სახეზე არ არის ხელშერულების მოშლისათვის დაწესებული წინაპირობები.